

სწავლების როლი შემოქმედებითობის განვითარებაში

გირკელიძე მერი, მანანა მელიქიშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრა

ანოტაცია

შემოქმედებითობის ფენომენი უაღრესად რთულ და საინტერესო ფენომენთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი არის აზროვნების ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია ახლის შექმნისკენ, გაგებისკენ, გარდაქმნისკენ და რომელიც ხორციელდება შინაგანი სტიმულაციის საფუძველზე. მის გენეზისში დიდ როლს ასრულებს ოჯახური გარემო და საგანმანათლებლო სისტემა. ეს საკითხი მით უფრო დიდ აქტუალობას იძენს, რაც ბოლო წლებში სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგებითა ანალიზმა (აშშ და რუსეთი) ნათლად აჩვენა საგანმანათლებლო სისტემის როლი და გავლენა შემოქმედებითობის განვითარებაზე.

ნაშრომში განხილულია შემოქმედებითობის განვითარების თავისებურებანი სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო გარემოსა და ტრადიციული სწავლების პირობებში. ამ მიზნით კვლევები ჩატარდა თბილისის არასახელმწიფო საერო სასწავლებელში “მომავლის სკოლა”, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ინტერაქტიული მეთოდებით და ტარდებოდა შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი პროგრამა და მე-18 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ტრადიციული მეთოდებით. კვლევამ დაადასტურა, რომ სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო გარემო (სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი პროგრამა) ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: კრეატიულობა, შემოქმედებითი აზროვნება, ვერბალური შემოქმედებითობა, დივერგენტული აზროვნება,

შემოქმედებითობისადმი, როგორც ფსიქიკური ფენომენისადმი ინტერესი XX საუკუნის სამოციან წლებში გაჩნდა ანგლო-ამერიკულ ფსიქოლოგიაში. მას შემდეგ გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ, რა მნიშვნელობა აქვს მას პიროვნებისათვის და რა მექანიზმები უწყობენ ხელს მის განვითარებას (Creativity – ინგლისურად შექმნას, ქმნადობას ნიშნავს).

შემოქმედებითობა არის ინდივიდისა თუ კულტურისთვის რაიმე ახლის შექმნის უნარი. მისი არსის შესახებ საინტერესო შეხედულება აქვს შტერნს: იგი განასხვავებს აზროვნების ორ სახეს: რეაქტიულს და სპონტანურად აქტიურს. რეაქტიული აზროვნება ემსახურება თვითშენახვის მიზნებს და გარემოსთან შეგუებას. მისი სტიმული გარეგანი გამღიზიანებელია, სპონტანურის კი – შინაგანი განწყობა. აზროვნება მიმართულია გარემოში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. შემოქმედებითობა კი დეტერმინირებულია პიროვნების შინაგანი განწყობით და თავად პოულობს გარემოში განხორციელების გზებს. უზნადის თეორიიდან გამომდინარე, შემოქმედებითობას იმპულსს

ფუნქციონალური ტენდენცია უნდა აძლევდეს, რომელიც შიგნიდან უბიძგებს ადამიანს პრობლემის ძიებასა და გადაჭრისკენ.

შემოქმედებითობის ცნების განსაზღვრაში დიდი წვლილი მიუძღვის გილფორდის ფაქტორულ – ანალიტიკურ კვლევებს.

გილფორდმა მიუთითა სააზროვნო ოპერაციის ორ ტიპს შორის განსხვავებაზე. კონვერგენტული აზროვნებისგან განსხვავებით, რომელიც ცნობილი და მსგავსი პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული, და მივყავართ მოცემული ფაქტებიდან გამომდინარე ერთადერთ სწორ დასკვნამდე, დივერგენტული აზროვნება თავს იჩენს მაშინ, როდესაც არ არსებობს პრობლემის გადაჭრის წინასწარ ცნობილი გზა. ეს არის აზროვნების ტიპი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იშლება. ასეთი აზროვნება ნაკლებად შეძლულია ფაქტებით, უშვებს პრობლემის გადაჭრის გზების ცვლილებას და მივყავართ მოსალოდნელ შედეგებამდე.

გილფორდმა ამ თეორიული წანამძღვრების საფუძველზე, შექმნა უნარების საკვლევი ტესტი, რომელიც ზომავდა უპირატესად დივერგენტულ პროდუქტულობას. მისმა იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა პოლ ტორენსის შრომებში, რომელიც შემოქმედებითობის უნარის ქვეშ გულისხმობდა დისჰარმონიის, ცოდნის ხარვეზების და ნაკლის გამახვილებული აღქმის უნარს და შემოქმედებით აქტს ჰყოფდა პრობლემის აღქმის, გადაწყვეტის გზების ძიების, ჰიპოთეზების წარმოშობის და ფორმულირების, ჰიპოთეზების შემოწმების, მათი მოდიფიკაციის და შედეგის მოცემის ეტაპებად.

ამგვარად, შემოქმედებითობა შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

შემოქმედებითი არის აზროვნების ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია ახლის ძიებისკენ, შექმნისკენ და რომელიც ხორციელდება შინაგანი იმპულსის-ფუნქციონალური ტენდენციის საფუძველზე.

შემოქმედებითობის პრობლემისადმი ინტერესი თანამედროვე მეცნიერებებში საკმაოდ დიდია. ნაწილობრივ ეს აიხსნება სოციალური შეკვეთით, ხოლო ნაწილობრივ, ახალ პედაგოგიურ მიდგომებზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ დამახსოვრების უნარი აღარ წარმოადგენს მაღალი განათლებულობის გარანტს, არამედ დადგა აუცილებლობა იმისა, რომ მეხსიერების სკოლიდან გადავიდეთ შემოქმედებითი, თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებითობა უნარია, გენოტიპი თავის როლს ასრულებს მის განვითარებაში, მაგრამ მნიშვნელოვანია ენდოგენური ფაქტორების როლიც, რადგან შინაგანი ყოველთვის გარეგანში პოულობს თავის ასახვას. როგორც შ. ნადირაშვილი აღნიშნავს, ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციონის ტენდენციასთან ერთად ადამიანისთვის დამახასიათებელია შინაგანი სამყაროს გამოხატვისკენ სწრაფვა. იდეალური სამყაროსა და მე-ს ობიექტივაციის განხორციელება შემოქმედებითი აქტივობის საწყისია, მაგრამ ამისთვის შინაგანი ფაქტორების გარდა საჭიროა შემოქმედებითი სიტუაცია, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების საფუძველზე ყალიბდება შემოქმედებითი განწყობა. გარკვეული ნასახიდან ნიჭის ფორმირებას ხელს უწყობს როგორც ადეკვატური მაკრო გარემო (კულტურა, ეთნოსი), ასევე მიკროგარემო (ოჯახი, სკოლა, თანატოლთა წრე). ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შემოქმედებითი ქცევის ნიმუში, მასთან პიროვნული იდენტიფიკაცია, რადგან შემოქმედებითობა უნდა ჩამოყალიბდეს ღრმა პიროვნულ და არა ზედაპირულ თვისებათ. საგანმანათლებლო სისტემას

განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის კრეატიულობის განვითარებაში. მოსწავლე არ არის ცარიელი ჭურჭელი, რომელიც ცოდნით უნდა გაივსოს, მან პრობლემური სწავლების პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს, რადგან პრობლემებზე ფოკუსირება სტიმულს აძლევს მოსწავლის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას და აღაგზნებს მას შემოქმედებითი აზროვნებისთვის. ბავშვი მხოლოდ პრობლემასთან ჭიდილში ფიქრობს, რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიების დროს. პრობლემის დასმა, ჰიპოთეზების შემუშავება, მათი გადამოწმება, სწორი გადაწყვეტილების პოვნა და ამ ცოდნის გაშინაგნება, აღმოჩენილის ხელახალი, სუბიექტური აღმოჩენის პროცესი მნიშვნელოვანია შემოქმედებითობის განვითარებისთვის. შედეგად ვიღევთ იმას, რომ მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა მტკიცეა, ემოცია დადებითი და შესაბამისად, დახსომებაც უკეთ ხდება.

გარემოს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის შემოქმედებითობის განვითარებაში. დისპოზიცია გახდება თუ არა აქტიური, ამას ის სიტუაცია გარემო პირობები განსაზღვრავს, რომელშიც იმყოფება ადამიანი. თუ კი ბავშვის მიერ გამოთქმულ არასტანდარტულ აზრს უფროსების მხრიდან უარყოფითი განმტკიცება მოყვა, ბავშვს ეკარგება თვითგამოხატვის სურვილი, უნარი რჩება პოტენციის სახით და არ აქტივიზირდება. იშვიათად შევხვდებით ხოლმე ბავშვს, რომელიც საკუთარი დისპოზიციის შესაბამისად აყალიბებს სიტუაციას, რომელიც ინარჩუნებს შემოქმედებითობას მიუხედავად გარემოს არაშესატყვისი ზეგავლენისა, ამიტომაც ოჯახური ფაქტორის როლი, სასკოლო გარემოს სწორი ორგანიზება ძალიან მნიშვნელოვანია შემოქმედებითობის განვითარებისთვის. ბავშვებს არ უნდა ეშინოდეთ საკუთარი, თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმის. მათი შეხედულებები დიდი სიფრთხილითა და ტაქტით უნდა შეფასდეს, რათა ტრამვა არ მივაყენოთ მგრძნობიარე ბავშვურ თავმოყვარეობას. პედაგოგის ხელოვნება შემოქმედებითობის განვითარებაში უნდა ვლინდებოდეს, ამისთვის კი თავად ის უნდა იყოს შემოქმედებითი, შეძლოს შემოქმედებითად მიუდგეს საქმეს, დაკისრებულ მოვალეობას.

ცნობილია, რომ შემოქმედებითობის განვითარებაზე ბავშვის თანდაყოლილ უნარებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს სოციალური გარემო, კერძოდ, საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებანი. ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება. ერთი მხრივ, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს განათლების სისტემა ჯერ კიდევ არ არის გამოსული საბჭოთა განათლების სისტემის სივრციდან, რაც სასწავლო პროცესზედაც აისახება-სასწავლო ამოცანები, სახელმძღვანელოები, სწავლების მეთოდები მიმართულია ლოგიკურ-ფორმალური ოპერაციების განვითარებისკენ, პრობლემური სიტუაციის გადჭრის მრავალფეროვანი ხერხების ძიება და დივერგენტული აზროვნების სხვა აუცილებელი ფაქტორები ყურადღების მიღმა დარჩენილი.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ტორენსის შემოქმედებითობის საკვლევი ტესტი, რომელიც დღემდე ამ უნარის კვლევის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ინსტრუმენტად ითვლება. გამოყენებული ტესტი წარმოადგენს მეთოდიკის ყველაზე თანამედროვე ვერსიას, რუსების მიერ სტანდარტიზებულ ვარიანტს. (ტორენსის ტესტის პირველი გამოცემა გამოვიდა 1966 წელს, შემდგომი გადაამუშავებული ვარიანტი

გამოჩნდა 1974 წელს, ხოლო ბოლო, ყველაზე თანამედროვე ვერსია გამოვიდა 1983 წელს).

მასწავლებლისა და ფსიქოლოგიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოავლინონ პოტენციურ უნარ-შესაძლებლობათა ის სახეები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ ინდივიდუალურად მიდგომოდნენ პიროვნების სწავლებასა და ხელმძღვანელობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ტორენსის შემოქმედებითობის ტესტი საშუალებას იძლევა სხვადასხვა მოსწავლისათვის განსხვავებული ინსტრუქციებისა და რჩევის მიცემის საფუძველს.

ტორანსის ტესტის ვარიანტი იყო პირველი შემთხვევა, როცა შესაძლებელი გახდა ტესტთა ბატარეის ზოგადი გამოყენება, ბავშვებისთვისაც კი ტესტური დავალებების ამორჩევა ხდებოდა ფაქტორული ანალიზის საშუალებით. იმისათვის, რომ მაქსიმალურად ფართო სპექტრი ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ამოირჩიეს შედარებით არაკოელირებადი დავალებები. საგანგებო სამუშაო ჩატარდა, რათა ტესტური დავალებები საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო ყველა დონისა და განათლების მქონე ინდივიდებისათვის დაწყებული საბავშვო ბაღიდან უმაღლესი სკოლით დამთავებული. შემოწმებულია მეთოდიკის სანდოობა, მეთოდიკის ვალიდურობა შინაარსისა და კრიტერიუმის მიხედვით. მოცემულია ასევე პროგნოსტული და კონსტრუქტული ვალიდობის მონაცემები.

ტორენსის ტესტი შედგება ორი-ხატოვანი და ვერბალური ნაწილისგან. ვერბალური მეთოდიკა შედგება 7 სუბტესტისგან, რომლებიც მიმართულნი არიან ვერბალური შემოქმედებითობის სხვადასხვა ასპექტის გასაზომად.

ამ ნაწილის პირველ სამ სუბტესტში (დავალებები №1 - №3) დავალებები სრულდება ერთიდაიგივე სტიმულური მასალის საფუძველზე. პირველ სუბტესტში (“შეკითხვები”) ცდისპირმა უნდა დასვას რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, რათა გაიგოს რა ხდება სურათზე. მეორე სუბტესტში (“მიზეზები”) უნდა შემოგვთავაზოს მომხდარის რაც შეიძლება მეტი მიზეზი, მესამეში კი (“შედეგები”) უნდა მოიფიქროს ნახატზე ასახული მოვლენის რაც შეიძლება მეტი შედეგი. პირველი სამი სუბტესტი დაკავშირებულია “მეცნიერულ”

(მიზეზ-შედეგობრივ) შემოქმედებით აზროვნებასთან. სუბტესტი “შეკითხვები” ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის, არასაკმარისი ინფორმაციისადმი და სიახლეებისადმი მგრძნობელობის, ცოდნაში არსებული ხარვეზების ამოვსების უნარის გამოვლენას. სუბტესტები “მიზეზები” და “შედეგები” ავლენენ ჰიპოთეზის წამოყენების უნარს სხვადასხვა მოვლენების მიზეზების და შედეგების მიმართ. პირველი სამი დავალების შესრულება მოიცავს 15 წუთს – 5-5 წუთი თითო დავალებაზე. სუბტესტში “საგნის გაუმჯობესება” ცდისპირს სთავაზობენ მოიფიქროს სათამაშო სპილოს გაუმჯობესების რაც შეიძლება მეტი ორიგინალური და უჩვეულო ხერხი, რომლებიც, სპილოს უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდიდა სათამაშოდ. ეს სუბტესტი იწვევს ერთნაირად დადებით რეაქციას როგორც ბავშვებთან, ასევე მოზრდილებთან, რადგან საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ თავისი ბავშვური “მე-ს” აქტუალიზება და სპონტანურად “ითამაშონ სხვადასხვა იდეებით”. ამ სუბტესტისთვის მოცემულია 10 წუთი.

V სუბტესტში “უჩვეულო გამოყენება” ცდისპირმა უნდა მოიფიქროს მუყაოს კოლოფების რაც შეიძლება მეტი უჩვეულო გამოყენება. ეს სუბტესტი წარმოადგენს გილფორდის “აგურის უჩვეულო გამოყენების” ტესტის მოდიფიკაციას. მთელი რიგი ექსპერიმენტების შემდეგ ტორანსმა სტიმულად აირჩია მუყაოს კოლოფი. ეს, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ეს სტიმული ჰზადებს პასუხების ურიცხვ რაოდენობას, ხოლო მეორე მხრივ კი, ახდენს რიგიდული, სტერეოტიპული პასუხების სტიმულაციას და კარგად ავლენს ცდისპირის არასტანდარტული აზროვნების უნარს. ამ სუბტესტს ეთმობა 10 წუთი.

VI სუბტესტში “უჩვეულო შეკითხვები” ცდისპირმა უნდა მოიფიქროს რაც შეიძლება მეტი შეკითხვა მუყაოს კოლოფების ყველაზე უჩვეულო თვისებების შესახებ. ეს სუბტესტი წარმოადგენს ბეკხატის მეთოდის ადაპტაციას. ბეკხატი აღნიშნავს, რომ დაბალი შემოქმედებითობის მქონე ინდივიდები იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინსტრუქციის მიხედვით უნდა მოგვეცენ სხვადასხვა იდეები, იძლევიან ტიპურ, ფაქტობრივ შეკითხვებს, თუმცა გრძნობენ პასუხების შეუსაბამობას ინსტრუქციასთან. ამგვარად, ეს სუბტესტი აფასებს ცდისპირის დივერგენტულ ძალას. სუბტესტის შესასრულებლად მოცემულია 5 წუთი.

VII სუბტესტში “უჩვეულო სიტუაცია” ცდისპირს სთავაზობენ სურათს უჩვეულო სიტუაციის გამოსახულებით. მისი ამოცანაა-მოიფიქროს ამ უჩვეულო სიტუაციის რაც შეიძლება მეტი შესაძლო შედეგი. ეს სუბტესტი წარმოადგენს გილფორდის მეთოდის ადაპტაციას და მაქსიმალურად ასტიმულირებს ფანტაზიის გამოვლენას. ამ სუბტესტისთვის განკუთვნილია 5 წუთი.

ტესტის ამ ნაწილის ჩატარება მოიცავს დაახლოებით 1 საათს. 10-15 წთ. საჭიროა მასალის დასარიგებლად და ინსტრუქციების გასაცნობად, 45 წუთი-სუბტესტზე სამუშაოდ.

ტესტის ხატოვანი ნაწილი შედგება 3 სუბტესტისგან, რომლებიც გამიზნულია ხატოვანი შემოქმედებითობის ცალკეული ასპექტების გასაზომად.

I სუბტესტში-“ნახატის შექმნა” ცდისპირმა საწყისი სტიმულური მასალის საფუძველზე უნდა მოახდინოს ნახატის შექმნა.

II სუბტესტი-“დაუმთავრებელი ფიგურები” გულისხმობს ცდისპირის მიერ 10 დაუმთავრებელი ფიგურის საფუძველზე ნახატების შექმნას.

III სუბტესტში-“განმეორებადი ხაზები” სტიმულურ მასალას წარმოადგენს პარალელური ხაზების 30 წყვილი. ხაზების ყოველი წყვილის საფუძველზე აუცილებელია შეიქმნას რაიმე გამოსახულება. ამგვარად, ცდისპირმა უნდა შემოგვთავაზოს სხვადასხვა იდეები ერთიდაიგივე სტიმულური მასალის საფუძველზე, უნდა გადალახოს ამ დროს აზროვნების რიგიდულობა.

ჩვენს ამოცანას წარმოდგენდა გვენახა სპეციალურად ორგანიზებულ სასწავლო გარემოს (სწავლის მეთოდები, შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი პროგრამა) გავლენა შემოქმედებითობის განვითარებაზე. ამ მიზნით ტესტირება

ჩატარეთ არასახელმწიფო საერო სასწავლებელში “მომავლის სკოლა” და მეთვრამეტე ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლაში IV კლასელებთან, რაოდენობა ორივე სკოლიდან: 90 ცდისპირი.

ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობდა იმაში, რომ სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო პირობები ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას., “მომავლის სკოლაში” სწავლა მიმდინარეობს ინტერაქტული მეთოდებით. ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი კურსი. პროგრამას ატარებდა პედაგოგი, რადგან სასწავლო პროგრამა თვალისწინებდა სპეციალურ გაკვეთილს ამ მიზნისთვის, გარდა ამისა, პროგრამა განკუთვნილია პედაგოგებისთვის მას ახლავს ინსტრუქციები და მითითებები კურსის ჩატარების შესახებ. პროგრამის პროტოტიპია ჯ.გილფორდისა და ჯ. რენზულის პროგრამა, რომელიც აშშ-ს კონგრესმა აირჩია ზოგადნაციონალურ პროგრამად შემოქმედებითობის განვითარებაში. კურსის მიზანია დივერგენტული აზროვნების განვითარება, შაბლონური სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება, პროგრამის შედეგად ვითარდება სისწრაფე, მოქნილობა, ორიგინალობა, დეტალური დამუშავების უნარი. კურსი შეიცავს ძირთად და დამატებით დავალებებს (დაინტერესებულ პირთათვის). სავარჯიშოები კლასიფიცირდებიან უნართა მახასიათებლების შესატყვისად, ინფორმაციის სახის მიხედვით (ხატოვანი, სემანტიკური, სიმბოლური), საშუალებით, რომლთაც ეს ინფორმაცია ორგანიზებულია ყოველ სავარჯიშოში (ერთეულები, კლასები, სისტემები, ტრანსფორმაციები). პროგრამის კონცეპტუალური საფუძველია გილფორდის ინტელექტის მოდელი (განხილულია თეორიულ ნაწილში), რომელიც იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც მუშაობდა შემოქმედებითობის განვითარებზე და რომლის კვლევებსაც შემდგომში დაეყრდნო და მოდიფიცირება მოახდინა პ. ტორენსმა.

ვერბალური შემოქმედებითობა ავლენს მოსწავლეთა უნარს ასახონ იდეები სიტყვიერ ფორმაში. მისი შემადგენელი კომპონენტებია სისწრაფე, რაც ნიშნავს ბევრი ადეკვატური იდეის პროდუცირების უნარს, მოქნილობა - სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების უნარი პრობლემის გადაჭრისას, ორიგინალობა - არასტანდარტული იდეების გენერირების უნარი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვერბალური შემოქმედებითობის მონაცემები იძლევა სტატისტიკურად სანდო სხვაობას “მომავლის სკოლისა” და მეთვრამეტე სკოლის შემთხვევაში “მომავლის სკოლის” სასარგებლოდ.

ყველაზე მეტი მონაცემები მიღებულია სისწრაფის პარამეტრის შემთხვევაში , ნაკლები მოქნილობის კატეგორიისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს არა აქვთ გამოცდილება გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგიები პრობლემის გადაჭრისას.

როგორც ვხედავთ, ვერბალური შემოქმედებითობის შემთხვევაში სპეციალურად ორგანიზებულ გარემოს გარკვეული წვლილი შეაქვს, რადგან ვერბალური შემოქმედებითობა უფრო ემორჩილება გარემოს ზეგავლენას (პ. ტორენსი).

ვერბალური შემოქმედებითობა (საშუალო არითმეტიკულისა და სტანდარტული გადახრის მნიშვნელობები)

ცხრილი №1

ასაკი(9-10)	სისწრაფე		მოქნილობა		ორიგინალობა		ჯგუფის ვ.კ.	
	M	S	M	S	M	S	M	S
“მომავლის სკოლა”	30,08	16,01	15,08	13,3	29,57	12,82	24,9	14,04
“მეთ “მეთვრამეტე სკოლა”	22,02	9,5	7,35	2,5	9,08	5,16	12,8	5,7

ხატოვანი შემოქმედებითობა ავლენს მოსწავლეთა უნარს ასახონ იდეები ხატოვანი ფორმით. მისი შემადგენელი კომპონენტებია სისწრაფე, რაც ნიშნავს ბევრი ადეკვატური იდეის ჩამოყალიბებას, ორიგინალობა - არასტანდარტული იდეების გენერირების უნარი, წინააღმდეგობა ჩაკეტვისადმი - სიახლისადმი მზაობა უნარი “აზრობრივი ნახტომის” განვითარებისთვის, დამუშავებულობა - პროდუცირებული იდეის დეტალურად დამუშავების უნარი, დასახელების აბსტრაქტულობა - უნარი ჩამოყალიბებული იდეი განზოგადებული სახით სახელდებისა.

რაც შეეხება ხატოვან კრეატიულობას, სანდო მონაცემებს მომავლის სკოლის სასარგებლოდ იძლევიან პარამეტრები სისწრაფე, დასახელების აბსტრაქტულობა, წინააღმდეგობა ჩაკეტვისადმი, ხოლო არასანდოა სხვაობა ორიგინალობასა და დამუშავებულობას შორის. მაღალი მონაცემები პარამეტრში სისწრაფე, ხოლო დაბალი მაჩვენებლები პარამეტრში დასახელების აბსტრაქტულობა მიანიშნებს ბანალური აზროვნების სტილზე, ცდისპირებს უჭირთ სახელდება, რაც ანალიზის-სინთეზის უნარებთანაა დაკავშირებული. დასახელების აბსტრაქტულობა კორელაციაშია ვერბალურ მოქნილობასთან, რაც ასევე დაბალი მონაცემებით გამოირჩევა.

ხატოვანი შემოქმედებითობა (საშუალო არითმეტიკულისა და სტანდარტული გადახრის მნიშვნელობა)

ცხრილი №2

ასაკი (9-10)	სისწრაფე		ორიგინალობა		დამუშ.		დას.აბსტრ.		წინ.ჩ.		ბ.კ.	
	M	S	M	S	M	S	M	S	M	S	M	S
“მომავლის სკოლა”	23,5	8,4	10,6	4,4	4,2	1,8	1,7	1,1	3,3	2,07	8,7	3,6
“მეთვრამეტე სკოლა”	18,06	6	7,5	3,4	4,08	1,4	0,5	0,3	2,5	2,2	6,5	2,7

საერთო ჯამში დასტურდება სანდო სხვაობა ვერბალური და ხატოვანი შემოქმედებითობის მაჩვენებლებს შორის. შედეგები მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა. სპეციალურად ორგანიზებული გარემო მართალეც ახდენს შემოქმედებას შემოქმედებითობის განვითარებაზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვერბალური შემოქმედებითობა იძლევა სანდო სხვაობებს სკოლებს შორის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი უფრო ემორჩილება გარემოს ზეგავლენას, ვიდრე ხატოვანი (პ. ტორანსი). ჩვენ შერჩევებში ვერბალური შემოქმედებითობა უფრო მაღალია, ვიდრე ხატოვანი შემოქმედებითობა.

**შემოქმედებითობის ნორმების პროცენტები
ცხრილი №3**

“მომავლის სკოლა”	მეთვრამეტე სკოლა
ვერბალური შემოქმედებითობა	
ნორმა(40-60) 88,8% (40 ც/პ) მაღალი(67-69) 2,22% (1ც/პ) ძალიან მაღალი (70-ზევით) 2,22% (1 ც/პ) ნორმაზე რამდენადმე დაბალი (35-39) 6,66% (3 ც/პ)	ნორმა 80% (36 ც/პ) მაღალი 4,4% (2 ც/პ) ნორმაზე რამდენადმე დაბალი 15,5% (7 ც/პ)
ხატოვანი შემოქმედებითობა	
ნორმა 88,8% (40 ც/პ) ძალიან მაღალი 2,22 (1 ც/პ) ნორმაზე მაღალი 6,66% (3 ც/პ) ნორმაზე რამდენადმე დაბალი 2,22% (1 ც/პ)	ნორმა 77,7% (35 ც/პ) რამდენადმე მაღალი 13,3% (6 ც/პ) ძალიან მაღალი 2,2% (1ც/პ) რამდენადმე დაბალი 6,6% (3 ც/პ)

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო პირობები (სწავლების ინტერაქტული მეთოდები, შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი პროგრამის სწავლება) გარკვეულ გავლენას ახდენს შემოქმედებითობის განვითარებაზე. სპეციალურად ორგანიზებულ სასწავლო გარემოში მყოფი ბავშვები უფრო მაღალი შემოქმედებითობით გამოირჩევიან, როგორც ვერბალურ, ასევე ხატოვან შემოქმედებითობაშიც. განსაკუთრებით თვალშისაცემია მაღალი მონაცემები ვერბალურ შემოქმედებითობაში, რაც ტორანსისავე მონაცემებით ექვემდებარება გარემოს ზეგავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) კუჭუხიძე მ, კრეტულობა და მისი კვლევის მეთოდი, თსუ, ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოთა სერია, 2001.
- 2) ნადირაშვილი შ, განწყობის ანთროპული თეორია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. შუზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2000.
- 3) Туник Е, Диагностика креативности, Санкт-Петербург, 2000
- 4) Torrance E, Safter Making the creative leap beaond, New York, 1999

სტატია მიღებულია: 2005-04-01